**„არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციასთან,**

**არსებული გამოწვევები"**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში ჯერ კიდევ სიახლეა. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანი არის 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. სწორედ პირის ასაკისა და მისი განვითარების დონიდან გამომდინარე, უპირატესი გახდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რომელიც თავის თავში არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესების გათვალისწინებას მოითხოვს. გარდა ამისა, როგორც ვხედავთ, კანონი არ იცავს მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, არამედ, იგი ეხება მოწმესა და დაზარალებულსაც. არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციელთან/გამომძიებელთან შეხვედრით იწყება, ანუ ადამიანებთან, რომლებიც დაკითხვებს/გამოკითხვებს ატარებენ ან იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულის შესახებ. შესაბამისად, არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციასთან რამდენიმე კუთხით უნდა იქნეს განხილული და შეფასებული.

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი[1] ითვალისწინებს გარკვეულ საპოლიციო ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც ხდება ყოველგვარი წინასწარი ნებართვების, განჩინებებისა თუ დადგენილებების გარეშე. მათ შორის, მნიშვნელოვანია პირის გამოკითხვა, იდენტიფიცირება, მოწვევა, ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება და სხვა. აღნიშნული კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, პოლიციელი უფლებამოსილია დაადგინოს პირის ვინაობა ღიად და უშუალოდ, გამოჰკითხოს მას პერსონალური მონაცემები და მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი მითითებას აკეთებს მხოლოდ 14 წლამდე ასაკის პირზე, რა დროსაც ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.[2] განსხვავება განხილული ორი საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ „გამოკითხვას" შორის არსებობს, ვინაიდან, პოლიციელს შეუძლია ქუჩაში კანონით განსაზღვრული გარკვეული ეჭვის საფუძველზე შეაჩეროს და დაიწყოს პირის გამოკითხვა, მაშინ, როდესაც საგამოძიებო მოქმედების დროს სამართალდამცავმა არასრულწლოვანი შესაძლოა გამოკითხოს მხოლოდ დამსწრე პირების თანდასწრებით. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია გამოკითხვის ხასიათი, კერძოდ ნებაყოფლობითობა. საგამოძიებო მოქმედების დროს სრულდება თუ არა ეს დანაწესი და განუმარტავენ თუ არა არასრულწლოვანს აღნიშნული უფლების შესახებ, უფრო მარტივად კონტროლირებადია, ვინაიდან არასრულწლოვანთან ერთად აუცილებელია იმყოფებოდეს ადვოკატი და კანონიერი წარმომადგენელი. ამასთან, საპოლიციო ღონისძიება არ ითვალისწინებს ოქმის შედგენას და ჩნდება რისკი, რომ არ მოხდეს არასრულწლოვნისთვის უფლებების განმარტება, ასევე, მოხდეს მისი იძულება, დაშინება და სხვა ხერხების გამოყენება.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა პირის იდენტიფიცირების დროს, როდესაც ხდება არასრულწლოვნის ბიომეტრიული მონაცემების დაფიქსირება. ასეთ დროს

[1] პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი; N1444-Iს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23.12.2017.

[2] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილი; N 3708-IIს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 01.06.2017.

პოლიციელი ვალდებულია შეადგინოს ოქმი. თუმცა, არ არის ჩართული არასრულწლოვნის არც ადვოკატი, არც კანონიერი წარმომადგენელი და არც ვინმე სხვა პირი, ყოველ შემთხვევაში მის სავალდებულო დასწრებას კანონი არ ითვალისწინებს. პირის მოწვევა კი ხდება პირთან გასაუბრების მიზნით, რაც ასევე ნებაყოფლობითია[3] და არასრულწლოვანი სავალდებულოა იმყოფებოდეს მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. გარდა ამისა, თუ მოწვეული პირი არასრულწლოვანია გასაუბრების ოქმს ხელს აწერენ მისი თანმხლები მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი და ოქმის შემდგენი პოლიციელი. და ბოლოს, პირის ზედაპირული დათვალიერება და შემოწმება გულისხმობს მისი ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით, სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით შეხებას.[4] პირის შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შეჩერების მომენტიდან 30 წუთს და აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ოქმის შემდგენი პოლიციელი და ღონისძიების ადრესატი. აქაც იკვეთება არასრულწლოვნის მარტო მონაწილეობა პოლიციასთან, დამსწრე პირების გარეშე, რაც ასევე ქმნის პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ დგება ოქმი და ოქმს ხელს აწერს ღონისძიების ადრესატიც, არასრულწლოვნის იმწუთიერი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან და პოლიციასთან კონტაქტით გამოწვეული შიშიდან გამომდინარე, არის რისკები იმისა, რომ ოქმის დადასტურება არ იყოს ნებაყოფლობითი ან იყოს ნებელობითი, თუმცა გამოწვეული სხვა ფაქტორებით.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს, არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციასთან შესაძლოა მოხდეს პირის დაკავებისას. არასრულწლოვნის დაკავება დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.[5] არასრულწლოვნის დამკავებელი პირი მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნის მშობელს ან სხვა ახლო ნათესავს ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირს დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს, ხოლო სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს არასრულწლოვნის დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ, განუმარტავს არასრულწლოვნის დაკავების მიზეზს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებს.[6] თუმცა, სწორედ კანონიერი წარმომადგენლისთვის შეტყობინებიდან მის საგამოძიებო ორგანოში მისვლამდე პერიოდი არის პრობლემური. ამ დროს არასრულწლოვანი იმყოფება დაწესებულებაში, სადაც შესაძლოა მიმდინარეობდეს არაოფიციალური საუბარი არასრულწლოვნისგან ინფორმაციის მიღების მიზნით. ამასთან, კანონიერი წარმომადგენლის მოზარდთან არყოფნამ და უცხო გარემოში ყოფნამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული სტრესი და სხვა ფსიქიკური აშლილობა. თუმცა იმისათვის, რომ სამართალდამცავის მოქმედება არ შეფასდეს უკანონოდ, შესაძლოა, პროკურორმა არასრულწლოვანი დაკავებიდანაც გაათავისუფლოს. მოსამართლეთა განმარტებით, განსაკუთრებით ხშირად, არასრულწლოვნების შემთხვევაში, პროკურატურა ცდილობს, რომ არასრულწლოვანი დაკავებიდან გაათავისუფლოს, ამ შემთხვევაში მას გამოაქვს დადგენილება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო მიზნების უზრუნველსაყოფად აღარ არის აუცილებელი ამ პირის დაკავება. ადვოკატები ამას სხვაგვარად ხსნიან. მათი თქმით, პირი დაკავებიდან მხოლოდ მას შემდეგ თავისუფლდება, რაც ის აღიარებით ჩვენებას

[3] იხ. სქოლიო N1; 21-ე მუხლი.
[4] იხ. სქოლიო N1; 22-ე მუხლი.
[5] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი; N 3708-IIს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 01.06.2017.
[6] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი; N 3708-IIს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 01.06.2017.

მისცემს.[7] თუმცა, არასრულწლოვნების შემთხვევაში ასეთი ფაქტი შესაძლოა ინფორმაციის სიმწირით ან მისი არარსებობითაც აიხსნას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები ფაქტობრივად არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ არსებული კვლევებიდან მხოლოდ ერთშია საუბარი არასრულწლოვნისა და პოლიციის პირველად კონტაქტსა და მისით გამოწვეულ პრობელემებზე. აღნიშნულ საკითხზე არაფერია ნათქვამი არც იურიდიულ ლიტერატურაში. რაც შეეხება საქართველოს სახალხო დამცველს, მის რამდენიმე ანგარიშში მწირი ინფორმაციაა აღნიშნულ პრობლემაზე. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში[8] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას დათმობილი აქვს ერთი თავი, სადაც არასრულწლოვნის პოლიციასთან პირველად კონტაქტზე მითითება კეთდება კვლევაზე[9], რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. რაც შეეხება, სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშს[10], მასში არ არის განხილული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, არ არის განხილული არასრულწლოვანთა პოლიციასთან კონტაქტით გამოწვეული პრობლემები სახალხო დამცველის 2016[11], 2015[12] წლებისა და მანამდე არსებულ საპარლამენტო ანგარიშებში. წარმოდგენილ ანგარიშებში ძირითადი ყურადღება ბავშვთა უფლებებსა და მათ მიმართ ძალადობის საკითხებს ეხება. ერთადერთი, რაც 2016 წლის ანგარიშიდან შეიძლება გამოვყოთ, ეს არის პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის განყოფილებაში „გასაუბრების“ მანკიერი პრაქტიკა, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სრულწლოვან პირებს ეხებათ, ანალოგიური პრობლემა შესაძლოა დადგეს არასრულწლოვნების შემთხვევაშიც, ვინაიდან ე.წ. „გასაუბრების“ სარისკო პრაქტიკა არ უზრუნველყოფს პოლიციასთან ურთიერთობისას მოქალაქის უსაფრთხოებას, არამედ წარმოშობს მასზე ძალადობის, დაშინებისა და ზეწოლის საფრთხეს.

„ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ გამოცემულ კვლევის ანგარიშში[13] აღნიშნულია, რომ „საკანონმდებლო დონეზე არსებული ფორმულირებით, პრაქტიკაში იქმნება სიტუაცია, როდესაც არასრულწლოვანი მოწმე პოლიციასთან პირველადი კონტაქტის დროს ვერ იყენებს სავალდებულო დაცვის უფლებას, თუ არ არსებობს მისი გადახდისუუნარობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. „სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან მოწმეს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს, თუ იგი გადახდისუუნაროა.““.[14] „ჩატარებული კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირად პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს ბავშვთან ე.წ. „გასაუბრებას“, როდესაც ხდება არასრუწლოვნის მანქანაში

---

[7] პირის დაკავების სტანდარტებისა და პრაქტიკის კვლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით; ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი; თბილისი, 2017, გვ. 68.

[8] საქართველოს სახალხო დამცველი; „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“; 2016 წ. იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4471.pdf

[9] არასამთავრობო ორგანიზაციის, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, პროექტის, „არასრულწლოვანი ბრალდებულების უფლებები სისხლის სამართლის პროცესის“, ფარგლებში. იხ. http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/arasrulwlovani-braldebulis-uflebebi-sisxlis-samartlis-processhi.page

[10] საქართველოს სახალხო დამცველი; „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“; 2015 წ. იხ.http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3703.pdf

[11] 11 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2016 წ. იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4441.pdf

[12] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2015 წ. იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3651.pdf

[13] იხ. სქოლიო N9.

[14] იხ. სქოლიო N9; გვ. 19.

ჩასმა ან მისი პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანა, ისე რომ არ ფორმდება დაკავების ოქმი. სწორედ ეს არაფორმალური გასაუბრების ეტაპი წარმოადგენს მომეტებული რისკის პერიოდს არასრულწლოვან ბრალდებულზე ზეწოლის განხორციელების კუთხით.“[15] გამოკითხული ადვოკატები აგრეთვე აცხადებენ, რომ ზოგჯერ ადამიანებს ქუჩაში აკავებენ და გადაყავთ პოლიციის დაწესებულებაში. პოლიციის დაწესებულებაში მისვლამდე, ე.წ. „გასაუბრებას“ უტარებენ დაკავებულს. ადვოკატები ირწმუნებიან, რომ როდესაც პოლიციის თანამშრომელი გადაწყვეტს პირის დაკავებას, ისინი უთითებენ დაკავების დროდ არა ფაქტობრივი დაკავების, არამედ პოლიციელის მიერ დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დროს.[16] ამასთან, პრობლემად გამოკვეთილია ის ფაქტიც, რომ „არაოფიციალური „გასაუბრების“ ეტაპზე, პოლიცია ხშირად არასრულწლოვანს დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ პირდება საპროცესო შეთანხმების ან განრიდების გაფორმებას“[17]. გარდა ამისა, განხილულ კვლევაში პრობლემად არის წარმოჩენილი პოლიციის მხრიდან არასრულწლოვნის გადაყვანა განყოფილებაში, რომელზეც პოლიცია აცხადებს, რომ თავისი სურვილით გაჰყვა არასრულწლოვანი და ასევე უფლებადამცველის საქმეში გვიან ჩართვა, მაშინ, როდესაც ბრალდებულს უკვე მიცემული აქვს აღიარებითი ჩვენება. ამასთან, კვლევამ წარმოაჩინა, რომ არაფორმალური გამოკითხვის ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში პოლიციელების მხრიდან ადგილი აქვს როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას.[18]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი განსაზღვრავს საქმისწარმოებაში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სავალდებულოობას, მაშინ, როდესაც ხდება არასრულწლოვნის გადაყვანა განყოფილებაში, ის ხვდება გარემოში, სადაც შესაძლოა იყოს ბევრი არასპეციალიზებული პირი და ადგილი ჰქონდეს მისდამი შეუფერებელ მოპყრობას, იძულებას, ზეწოლასა და სხვა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, განხილული ინფორმაციის საფუძველზე, ხშირია საპროცესო ნორმების დარღვევა დაკავების დროსა და უფლებების განმარტებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნას „გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში”-ის დანაწესი, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს დაცულ იქნას ბავშვის ღირსებისა და პატივისცემის უფლება დაწყებული პოლიციასთან პირველი კონტაქტით, დამთავრებული პატიმრობით.[19] ამიტომ, საკანონმდებლო დონეზე უნდა გაიწეროს პროცედურები არასრულწლოვანთან პირველივე შემხებლობის მომენტშივე უზრუნველყოფილი იყოს მისი უფლებები და შესაძლებელი იყოს წარმომადგენლის დასწრება, თუნდაც პედაგოგის ან სოციალური მუშაკის, რათა არ განხორციელდეს ბავშვზე რაიმე სახის ზეწოლა და იძულება და მან თავი იგრძნოს საიმედოდ. ამასთან, მნიშვნელოვანია ჩატარდეს ცნობიერების ასამაღლებელი გაკვეთილები და დამკვიდრდეს პოლიციისა და მოსწავლეების ურთიერთობის სტანდარტი, რათა ბავშვებმა იცოდნენ პოლიციის ფუნქციებისა და მათთან ურთიერთობისას თავიანთი უფლებების შესახებ.

**ავტორი: სალომე ოსეფაშვილი**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის სამაგისტრო პროგრამა (სისხლის სამართლის მიმართულება)**

[15] იხ. სქოლიო N9; გვ. 20.
[16] იხ. სქოლიო N9; გვ. 21.
[17] იხ. სქოლიო N9; გვ. 21.
[18] იხ. სქოლიო N9; გვ. 22.
[19] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში; თავი III; პუნქტი N13; მუხლი 40 (1).